# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 233 (253) ოთხშაბათი, 27 ნოემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

## ზვიად გამსახურდია — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



**გუშინ, 26 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურათმცოდნეობის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის ინიციატივით, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა ბატონ ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებისა“ და სხვა რუსთველოლოგიური ნაშრომებისათვის.**

**ამასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მზია ანდრონიკაშვილს და პროფესორ ციალა თოფურიძეს.**

**ქ-ნი მზია ანდრონიკაშვილი** — მე შევეხები მხოლოდ ისეთ მხარეს, რომელზედაც მსჯელობის უფლებას მაძლევს ჩემი სპეციალობა — აღმოსავლეთმცოდნე ენათმეცნიერისა. საკმაოდ ბევრი მიმუშავია რუსთაველის ენაზე, [illegible]

მისი პოეტური და მთარგმნელობითი ნიჭი კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია აზროვნების მრავალმხრივობა, რომლისთვისაც მისაწვდომია ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა სფერო: ენა, ისტო- [illegible]

საქართველოში. როდესაც აღარ გათამაშდება ის კომედია, როდესაც დისერტანტმა წინასწარ იცის ყველა რეცენზიის შინაარსი და დაწერილ პასუხებს კითხულობს. თუ კაცმა ღირსეული ნაწარმოები შექმნა, ამას უნდა აფასებდეს უახლოესი სპეციალისტების წრე და დამსწრე საზოგადოება და მას არავითარი დაცვა არ უნდა უხდებოდეს.

**ქ-ნი ციალა თოფურიძე** — ზვიად გამსახურდია ფართო დიაპაზონის მეცნიერია. როგორც უცხოური ლიტერატურის სპეციალისტს, მსურს აღვნიშნო ორი მეტად ნიშანდობლივი ფაქტი, რომლებიც ნათელყოფს ზვიად გამსახურდიას, უცხოური ლიტერატურის მკვლევარის, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, რუსთველოლოგის დიდ შემოქმედებით პოტენციალს.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდიამ მიიღო [illegible]

ყავი და მაშინვე, 1973 წელს, დაცვაზე განვაცხადე, რომ იმ ღრმად მეცნიერული და მრავალმხრივ ახლებური შრომის ავტორი იმსახურებდა არა თუ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, არამედ იმთავითვე დოქტო- [illegible]

ზვიად გამსახურდიას საკანდიდატო დისერტაცია კომპლექსურად იკვლევდა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხებს და, მათთან მიმართებაში, „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებს. მე მისი ოპონენტი ვი- [illegible] რგმანებზე გამორჩეული ადგილი უჭირავს ზვიად გამსახურდიას იმ რუსთველოლოგიურ გამოკვლევათა შორის, რომელთათვის მეცნიერს, როგორც honoris causa, მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

## მის აღმატებულებას ბატონ აიაზ მუტალიბოვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ ლევონ ტერ-პეტროსიანს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

პატივცემულო ბატონებო,

ჩვენ ვიმყოფებით სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის ზღურბლთან. ნებისმიერი კონფრონტაცია ჩვენს რეგიონში ართულებს ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტას.

ამავე დროს, აშკარაა ტრაგიკულ გარემოებათა ურთიერთკავშირი, რომლებიც ართულებენ დღითიდღე მზარდი პრობლემების პოლიტიკურ გადაწყვეტას.

რეაქციული იმპერიული ძალები ცდილობენ გამოიწვიონ ურთიერთდაპირისპირება და დესტაბილიზაცია მთელს რეგიონში, გააღვივონ კონფლიქტები და ერთაშორის შუღლი და ამით დაუმტკიცონ მთელს მსოფლიოს ჩვენს მისწრაფებათა უსუსურობა და შეუძლებელი გახადონ სანუკვარი მიზნის — ჩვენი ქვეყნების მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღწევა.

იმ ხალხებისათვის, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ერთად მიუყვებიან ისტორიის რთულ გზას, რომელთაც ბედმა არგუნა მომავალშიც კვლავაც გვერდიგვერდ ცხოვრება, ყოველგვარი პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზას წარმოადგენს მოლაპარაკებები, ურთიერთპატივისცემა და კეთილმეზობლური თანაარსებობის აუცილებლობის აღქმა.

აზერბაიჯანს, სომხეთს და საქართველოს ძალუძთ დადებითი გავლენა მოახდინონ არამარტო კავკასიის, არამედ წინა აზიის პოლიტიკურ კლიმატზე. აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაძაბულობისა და სისხლისღვრის ყოველგვარი კერის ლიკვიდაცია.

პატივცემულო ბატონებო,

მოგიწოდებთ კონფრონტაციის შეწყვეტისაკენ და გიწვევთ თბილისში მოლაპარაკების ჩასატარებლად არსებული პრობლემების პოლიტიკური გზით მოგვარების მიზნით. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამგვარად არის შესაძლებელი ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღწევა. გთხოვთ, მაცნობოთ შეხვედრის თარიღი.

გულწრფელი პატივისცემით
**ზვიად გამსახურდია,**
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
თბილისი.
1991 წლის 26 ნოემბერი.

## საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 29 ნოემბერს 12 საათზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კინოდარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 11 საათიდან.

## საზღვარგარეთ

**აზერბაიჯანელ** ჟურნალისტთა მოთხოვნით რამდენიმე დღის წინ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეწყდა ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამების გადაცემა. ამის მიზეზი გახდა ცენტრალური ტელევიზიის მიერ რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მრჩევლის ეროვნული ურთიერთობების დარგში, გალინა სტაროვოიტოვას ტენდენციური კომენტარები აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენებისა და განსაკუთრებით ყარაბაღში ჩამოვარდნილი შვეულმფრენის კატასტროფის მიზეზების შესახებ. შეგახსენებთ, რომ გალინა სტაროვოიტოვა საქართველოს საწინააღმდეგო უამრავი კომენტარის ავტორიც არის. ბაქოდან იუწყებიან, რომ ტენდენციური მასალების დაბეჭდვის შემთხვევაში ცენტრალური გაზეთების გავრცელებაც შეწყდება.

**საბჭოთა კავშირის** საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის მოხელემ განაცხადა, რომ შექმნილი ვითარების გამო იუგოსლავიის წინააღმდეგ გამოცხადებულ ეკონომიკურ სანქციებში მონაწილეობა მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო.

**რადიოსადგური** ბი-ბი-სი სვამს კითხვას იუგოსლავიაში მიმდინარე ომში ვინ არის აგრესორი და აგრესიის მსხვერპლი? პასუხი ნათელია, აღნიშნავს ბი-ბი-სი აგრესორთა იუგოსლავიის ფედერალური არმია და სერბეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები, რომელთაც სურვილი აქვთ დაამხონ ხორვატიის დემოკრატიული წესით არჩეული მთავრობა და მიითვისონ ტერიტორიები, სადაც მეტწილად სერბები ცხოვრობენ, შემდეგ კი შექმნან ე. წ. „დიდი სერბეთი“. ხორვატია, მისი შეიარაღებული ძალები, რომლებიც საკუთარ ტერიტორიას იცავენ, რა თქმა უნდა აგრესიის მსხვერპლია და ყოველ ღონეს ხმარობს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის.

**საქდესმა** განაცხადა, რომ უნგრეთში იარაღის შესაძენად ჩავიდა ჩეჩნეთის პარტიის „ისლამის გზის“ ხელმძღვანელი შიშანი. ამასთან დაკავშირებით ბუდაპეშტის გაზეთმა „ნეპსაბადშაგმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ უნგრეთის უშიშროების შეფთან ანდრაშ გალსეჩისთან, რომელმაც კატეგორიულად უარყო საქდესის განცხადება გალსეჩის თქმით, უნგრეთი არ ყიდის იარაღს და საქდესის მიერ გავრცელებული ხმები თითქოს აქედან იარაღი ფარულად „გაედინება“ კონფლიქტით მოცემულ მხარეებში სინამდვილეს არ შეესაბამებაო.

**ევროპის** ეკონომიკური თანამეგობრობის მაღალი თანამდებობის პირმა ფრანს ანდრიესენმა ტოკიოში იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან მიჩიო ვატანაბესთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ევროპის თანამეგობრობა გაგებით ეკიდება იაპონიის ცდის დაიბრუნოს ე. წ. „ჩრდილოეთის ტერიტორიები“, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მე-2 მსოფლიო ომის დროს სამხედრო ძალით წაართვა იაპონიას.

**ცნობილი** დეპუტატი და პოლკოვნიკი ვიქტორ ალქსნისი თავისას არ იშლის, ფინურ გაზეთ „დემარისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ „ბალტიისპირეთი კვლავ საბჭოთა წიაღში დაბრუნდებაო“. „ჩვენ გზის ვართ უფსკრულისაკენ მქროლავ ავტომობილში, რომელსაც მუხრუჭებმა უღალატეს“, თვლის იგი. საბჭოთა კავშირი დიდ საშიშროებას უქმნის ევროპას, ხოლო ფინეთისათვის იგი უფრო საშიშია, ვიდრე სტალინის დროს იყო. ახლა საბჭოთა კავშირში ანარქია და ქაოსია, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტებამდე მიგვიყვანს. ალქსნისის აზრით, მალე საბჭოთა კავშირში ძლიერი ხელისუფლება მოვა, რომელიც ყველა მოქმედ პარტიას აკრძალავს. მას მე უკვე რამდენიმე წელია ველოდები. ალქსნისი მიემხრო აგვისტოს პუტჩს, მაგრამ როდესაც გენადი იანაევის აკანკალებული თითები დაინახა, გადახედა თავის დამოუკიდებლობას ამბოხებულებთან. პოლკოვნიკი ხაზს უსვამს, რომ როდესაც ახალი ხელისუფლება მოვა, მან არ უნდა დაუშვას წარსულის შეცდომები და კონსტიტუციიდან უნდა ამოიღოს რესპუბლიკებისათვის კავშირიდან გასვლის უფლება.

## სხვა გაზეთებიდან

## „საქართველოს თავისი გზა აქვს“

### რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზვიად გამსახურდია პასუხობს გაზეთ „გრუზია-სპექტრის“ მთავარი რედაქტორის შეკითხვებს

**პრეზიდენტი:** როგორც მოგეხსენებათ, 14 ნოემბერს ნოვოოგარიოვოში შეიკრიბნენ ექვსი საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელები და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი. მათ გადაწყვიტეს შექმნან სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი. სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი სავსებით გამართლებული თანამედროვე ერთიანობაშია. მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა დამოუკიდებელ, ჭეშმარიტად სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირთან, არამედ ეს არის ცდა შეიქმნას ახალი უნიტარული სახელმწიფო. თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ ე. წ. კავშირის თავისებურებას, უდავოდ მივალთ კითხვამდე: შეიძლება თუ არა ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა სახელმწიფოს არსებობა? პირადად ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარია. ერთი მხრივ, ეს არის აშკარად უნიტარული სახელმწიფო, ვინაიდან მას ჰყავს ერთი მთავრობა, ერთი პარლამენტი. აქვს ჯარიანი შეიარაღებული ძალები. ამავე დროს ეს ვითომ არის სხვადასხვა, დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოები, რომლებსაც ჰყავთ თავთავიანთი პარლამენტები, მთავრობები, შეიარაღებული ძალები და ა. შ. ნუთუ არ დაარწმუნა შვიდი ათეული წლის პრაქტიკამ ეს რესპუბლიკები, რომ ეს არის აბსურდი? თუ მათ სურთ ურთიერთკავშირი, რა თქმა უნდა, ეს შეუძლიათ განახორციელონ, მაგრამ როგორ ფიქრობენ ისინი შექმნან ერთიანი სახელმწიფო და ამავე დროს დარჩნენ ფაქტიურად სუვერენულნი, ანუ დამოუკიდებელნი? ისტორიამ სავსებით დაამტკიცა, რომ ასეთი „ფოკუსი“ არ გამოდის. აქედან გამომდინარე, ეს იქნება არა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი, არამედ იმპერია, რომელიც გააერთიანებს ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ ისინი ჯერ უნდა ცნონ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. შემდეგ აწარმოონ მათთან მოლაპარაკებები.

შეკითხვა: ექვსმა რესპუბლიკამ თავისი ინიციატივით მოინდომა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, თუ ცენტრმა შეკრა ეს ალიანსი?

პრეზიდენტი: რამდენიმე ხნის წინ მიხეილ გორბაჩოვმა, ალბათ, როგორც სხვებს, მე გამომიგზავნა ტელეგრამა, რომელშიც მთხოვა ჩავსულიყავი ნოვო-ოგარიოვოში და შევერთებოდი მათ გადაწყვეტილებას. მე მას წერილით ვუპასუხე, რომ თუ ჩვენ მართლა სუვერენული სახელმწიფოები ვართ, ოფიციალურად გვცანით ასეთებად და მხოლოდ ამის შემდეგ ვთვლი-მეთქი შესაძლებლად ვილაპარაკოთ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე — პოლიტიკურზე, ეკონომიკურზე ან სხვა სახის კავშირ-ურთიერთობაზე, ვინაიდან, თუ სახელმწიფო სახელმწიფოს არ ცნობს, მათ შორის არავითარ კავშირზე და ალიანსზე არ შეიძლება ლაპარაკი. ცენტრი ჩვენ არ გვცნობს. აქედან გამომდინარე იგი ჩვენ სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირში კი არ გვეპატიჟება, არამედ კვლავ იმპერიაში, სადაც სიტყვა „სუვერენული“ ისეთივე სიყალბეა, როგორიც ყალბიც იყო უწინ. ასე რომ, ნოვოოგარიოვოში შეკოწიწებული სახელმწიფო იგივეა, რაც იყო აქამდე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ მას ერქვა სსრკ, ახლა კი ეწოდება სსკ— სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირი. აქ მე მინდა გავახსენოთ საბჭოთა კავშირის ჰიმნი, რომლის პირველი სიტყვები ასეთი იყო: «Союз нерушимый, республик свободных». გამოდის, რომ ჩვენ ყველანი მაშინაც ვიყავით თავისუფალი რესპუბლიკები, მაშ რაღა საჭიროა ახალი თავისუფალი ანუ სუვერენული რესპუბლიკების კავშირი? ასე რომ ამ „ახალ სახელმწიფოს შექმნა“ არის მხოლოდ სიტყვების ეკვილიბრისტიკა და არა სხვა რამ.

ჩვენ ვერ მოვტყუვდებით ასეთი იაფფასიანი სიტყვების თამაშით. ჩვენ გაცილებით ღრმად ვუყურებთ ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებასა და მომავალს, ვიდრე ისინი, ვინც ან თავს იტყუებს, ან სხვას ატყუებს. საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ იგი ასეთ თამაშში მონაწილეობას არ მიიღებს. აი, ასეთი პასუხი გავუგზავნე მე გორბაჩოვს, იმის მაგივრად, რომ მისი მოპატიჟება მიმეღო და ნოვო-ოგარიოვოში ჩავსულიყავი.

შეკითხვა: მეორე მხრივ, ბატონო პრეზიდენტო, ნოვო-ოგარიოვოში დადებულმა ხელშეკრულებამ ალბათ, დაგვაახლოვა იმ მიზანთან, რისკენაც საქართველო მიილტვის — რადგან იქ შეიქმნა ახალი სახელმწიფო, მაშასადამე, ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ავტომატურად დავრჩით მის გარეთ, ანუ გავინაღდეთ დამოუკიდებლობა. სწორ ანალიზს ვაკეთებ თუ ვცდები?

პრეზიდენტი: პრინციპში ასეა, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს სახელმწიფო, მე მგონი, მაინც არ მოგვიტანს დე-ფაქტო და დე-იურე აღიარებას. ყოველ შემთხვევაში უახლოეს ხანში. პირიქით — ეს ალიანსი გამოიწვევს ჩვენს მიმართ დისკრიმინაციას და გამოუცხადებელ ომს, როგორც აქამდე იყო, განსაკუთრებით ეკონომიკური ბლოკადის სახით. ფაქტიურად ამ „ახალმა სახელმწიფომ“ ჩვენ გამოგვაცხადა მტრად, არა მარტო საქართველო, არამედ ყველა ის რესპუბლიკა, რომლებმაც ხელი არ მოაწერა ამ ხელშეკრულებას. განსაკუთრებით ისინი, ვინც არც ეკონომიკურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ზოგმა მოაწერა. მაგალითად სომხეთი ამ „სუვერენულ რესპუბლიკათა სახელმწიფოში“ არ შევიდა, მაგრამ ეკონომიკურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. აქედან გამომდინარე სომხეთი, მათი შეხედულებით, ნაკლები მტერია, ჩვენ კი ისეთი რესპუბლიკა ვართ, რომელთანაც „სხვაგვარი ლაპარაკია“ საჭირო, გაცილებით მტრული.

შეკითხვა: თქვენ ახსენეთ სომხეთი, რამდენიმე დღის წინ, სომხეთის პრეზიდენტი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბუშმა. გაზეთმა „იზვესტიამ“ გამკილავი ტონით აუწყა მსოფლიოს, რომ თითქოს ეს შეხვედრა სომხეთის მარცხით დამთავრდა — ამერიკამ არ ცნო მისი დამოუკიდებლობა. განა ასე ადვილად ხდება ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობა? საქმე ხომ მაინც წაიწია წინ?

პრეზიდენტი: რა თქმა უნდა, ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობა უბრალოდ არ ხდება. მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. აღიარების გაძნელების საქმეში დიდი „წვლილი“ მიუძღვის მოსკოვს, ცენტრს. სამწუხაროდ ასეა აწყობილი საქმე ჯერჯერობით, რომ დასავლეთის ქვეყნები შეჰყურებენ მოსკოვს, თუ როდის გვცნობს იგი დამოუკიდებლად. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, სომხეთი რომ ახლავე არ ცნო შეერთებულმა შტატებმა. ასე იქნება საქართველოს მიმართაც, ამიტომ არ მივდივარ ვაშინგტონში. მე იქ ჩავალ მაშინ, როცა დავინახავ, რომ დასავლეთი დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს და არ შესცქერის მოსკოვს.

შეკითხვა: ჩვენი ოპოზიცია ლაპარაკობს, საქართველოს დასავლეთი არ ცნობს იმის გამოო, რომ ჩვენში...

პრეზიდენტი: დიქტატურააო, არა?

დიახ.

პრეზიდენტი: დასავლეთი არ ცნობს უკრაინას, მოლდოვას, სომხეთს, მაშ იქაც დიქტატურა ყოფილა. არა, ეს არ არის სიმართლე. დასავლეთი არ ცნობს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ ეს არ უნდა მოსკოვს, კრემლს.

შეკითხვა: მაგრამ დასავლეთმა უკვე დაიწყო ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ცნობა. რატომ?

პრეზიდენტი: ბალტიისპირეთის სახელმწიფოთა საკითხებში მათ მოილაპარაკეს და შეთანხმებას მიაღწიეს. დანარჩენი რესპუბლიკების შესახებ კი მათ შორის სხვანაირი მოლაპარაკებაა. ესე იგი საქმე გვაქვს მოლაპარაკებასთან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ასე რომ ჩვენს რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობის მიზეზით ვითომდა ჩვენი არცნობა აბსურდული და პოლიტიკურად უმეცრულია.

შეკითხვა: არ შეიძლება არ დაგეთანხმოთ იმაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა როგორც დასავლეთის, ისე კრემლის მიერ ძნელად მისაღწევი ამოცანაა. მიმაჩნია, რომ ამ პრობლემის სირთულე ბევრს ღრმად გაცნობიერებული არა აქვს. გზა ნაბიჯ-ნაბიჯ არის გასავლელი, საჭიროა იმ თოკების სათითაოდ გადაჭრა, რომლებითაც მიბმული ვართ საბჭოთა იმპერიაზე. ორი დღის წინ თქვენი ბრძანებულების კომენტარისათვის — საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ტექნიკის შესახებ — მივმართე ამიერკავკასიის ჯარების სარდალს პატრიკეევს. მან მიპასუხა, ეს საკითხი პოლიტიკური საკითხი უფრო, ვიდრე პრაქტიკულიო, მისი გადაწყვეტა არც იოლად, არც მალე არ მოხდებაო. თქვენც ასე თვლით?

პრეზიდენტი: რა თქმა უნდა, ამ ბრძანებულების რეალიზაცია ხელის ერთი აქნევით არ მოხდება, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, მოსკოვის თავდაცვის სამინისტრო არ იჩენს ესოდენ შეურიგებელ პოზიციას მის მიმართ, შესაძლოა, ეს ტაქტიკური სვლაა, მაგრამ იგი მოლაპარაკებაზეც კი გვიწვევს. ვფიქრობ, მივაღწევთ დადებით შედეგებს.

შეკითხვა: შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ რესპუბლიკის მთავარი პოლიტიკური პრობლემები სწორი გზით მიდის?

პრეზიდენტი: დიახ, შეიძლება ასე ჩავთვალოთ, რომ არ იყოს შიდა ქართლის მოვლენები. შიდა ქართლში ძალიან მძიმე მდგომარეობაა, უფრო და უფრო აგრესიული ხდება საბჭოთა შინაგანი ჯარი. ისინი ოს ექსტრემისტებთან ერთად დაუნდობლად არბევენ ჩვენს სოფლებს. მოსახლეობა უდიდეს ტანჯვას განიცდის, რაც ყველაზე მეტად გვაშფოთებს და გვაღელვებს.

შეკითხვა: მოსკოვის პრესას და ტელეგადაცემებს თუ დავუჯერებთ ჩვენ, ქართველებს მისალოცად გვქონია საქმე. მათ მთელ საბჭოთა იმპერიასა და მსოფლიოს აუწყეს „სენსაცია“, ქართველებმა ჯერ არნახული სამხედრო იარაღი გამოიგონეს, რომლითაც შიდა ქართლის სოფლებიდან კავკასიონის მთაგრეხილზე გადავლით პირდაპირ ვლადიკავკაზს უშენენ უცნაურ ყუმბარებსო. ხომ არ გაანდობდით ამ არნახული იარაღის მონაცემებს მსოფლიოს?

პრეზიდენტი: სხვათა შორის, როცა ჩემთან ჩამოვიდნენ პროგრამა „ვრემიას“ კორესპონდენტები, მე მათ მივესალმე, როგორც მეზღაპრეებს. არ ვიცი ეს ეწყინათ თუ არა, მაგრამ მხოლოდ მე და თქვენ კი არა, უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, რომ მოსკოვის პრესა და ტელეარხები ბარონ მიუნჰაუზენზე უფრო უკეთეს ზღაპრებს თხზავენ. აბა, ის, რაც თქვენ ახლა ახსენეთ, ზღაპარი არ არის? თანაც ბოროტი ზღაპარი?

შეკითხვა: კიდევ ხომ არაფრის თქმა გნებავთ, ბატონო პრეზიდენტო?

პრეზიდენტი: სათქმელს და საფიქრალს რა დალევს ამ ურთულეს პერიოდში... მაგრამ არის საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად მტკივნეულია. ეს არის ოპოზიციის დესტრუქციული მოქმედება. გულწრფელად გეტყვით, მე ვერაფრით ვერ გამიგია ამ ადამიანთა ფსიქოლოგია. მტრობა, როგორც ასეთი, ადამიანებში არსებობს. მაგრამ საკუთარი სამშობლოს მტრობა? მშობლიური ხალხისათვის ცხოვრების გართულება? სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევაში ხელის შეშლა? იმის მაგივრად, რომ მთელმა ერმა თავი დავდოთ შიდა ქართლში მდგომარეობის აღდგენისათვის, თვითმარქვია „პატრიოტულმა“ ჯგუფებმა იარაღი დაიტაცეს და თავად გახდნენ კრიმინალური სიტუაციის შემქმნელები. რა ვქნათ, იარაღით შევუტიოთ მათ, როცა ყველას ერთი საერთო მტერი გვყავს?! ხალხი, ერი მუშტად უნდა შეიკრას ამ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის. აი, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა დღეს!

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მოწყობილობის, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### [illegible] საქართველოს რესპუბლიკის [illegible] დანიშვნის შესახებ

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### [illegible] საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### [illegible] საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

[illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### ა. რ. კვეზერელის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ალექსი რობერტის ძე კვეზერელის სადეპუტატო უფლებამოსილება, რომელიც არჩეულია 1991 წლის 22 ნოემბერს № 54 კარდანახის საარჩევნო ოლქში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### ო. ს. ბებიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ორდე სარდიონის ძე ბებია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და გათავისუფლდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გაუქმებასა და მის ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გაუქმების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო წესები.

2. სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან მათდამი დაქვემდებარებული ჯარის ნაწილები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 25 ნოემბერი.

# დომუხოვსკიმ დაკითხა შევარდნაძე

## მოსკოვი. 1991 წლის 15 ნოემბერი

1991 წლის 20 ივლისს ე. შევარდნაძეს ასეთი შინაარსის დეპეშა გავუგზავნეთ:

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში შეიქმნა 1983 წლის 18 ნოემბრის თვითმფრინავის გატაცების ცდის შემსწავლელი დროებითი კომისია (საქმე № 201).

რამდენადაც თქვენ ამ საქმეს კარგად იცნობთ, კომისიას საჭიროდ მიაჩნია თქვენთან საუბარი.

თუ იმდენად მოუცლელი ბრძანდებით, რომ თბილისში ვერ ჩამოხვალთ, შეგვატყობინეთ, უახლოეს ხანს (26 ივლისიდან 10 აგვისტომდე) როდის შეძლებთ მოსკოვში კომისიის წევრების მიღებას.

კომისიის თავმჯდომარე
ვ. დომუხოვსკი.

პასუხი დიდხანს არ ჩანდა და, როგორც იქნა, 9 აგვისტოს მივიღეთ ასეთი შინაარსის დეპეშა:

**საქართველოს რესპუბლიკა.**
**თბილისი**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო**
**ბატონ ვიქტორ დომუხოვსკის**

პატივცემულო ბატონო დომუხოვსკი,

მივიღე თქვენი დეპეშა. ვადასტურებ რა პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტისადმი და თქვენი მეთაურობით მომუშავე კომისიისადმი, მზად ვარ გიპასუხოთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

ამასთანავე მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ პირადად ვარ დაინტერესებული კომისიასთან თანამშრომლობით, რათა სრული ნათელი მოეფინოს იმ გარემოებებს, რომლებიც დაკავშირებულია 1983 წლის 18 ნოემბრის თვითმფრინავის გატაცების ცდასთან. ეს გარემოებანი დღემდე აღელვებს საზოგადოებრიობას, ათასნაირი მონაჩმახი და ჭორი დაემატა, რაც სრულიადაც არ უწყობს ხელს საქმის ფაქტობრივი მხარის მკაფიოდ დანახვას.

სამწუხაროდ, რამდენადაც მუშაობის გამო მოუცლელი ვარ, ამჟამად თბილისში ვერ ჩამოვალ. მოხარული ვიქნები, თუ სასაუბროდ მოსკოვში ჩამოხვალთ. გთხოვთ, თქვენთვის მოსახერხებელი ნებისმიერი ფორმით მომაწვდინოთ შეკითხვები, რომლებზეც პასუხს მოგცემთ.

ჩვენი საუბარი შეკითხვების მიღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება გაიმართოს.

გულწრფელად ე. ა. შევარდნაძე.

10 სექტემბერს ფაქსით გავუგზავნეთ შეკითხვები. ამჯერად ე. შევარდნაძის დუმილი კიდევ უფრო დიდხანს — 2 თვეს გაგრძელდა. 11 სექტემბერს გავუგზავნეთ ასეთი შინაარსის დეპეშა:

პატივცემულო ბატონო შევარდნაძევ!

თქვენთან წინასწარი, ა/წ 9 აგვისტოს შეთანხმების შესაბამისად 10 სექტემბერს გამოგიგზავნეთ შეკითხვები № 201 საქმის გამო (1983 წლის 18 ნოემბრის ახალგაზრდების ჯგუფის მიერ თვითმფრინავის გატაცების ცდა).

ძალზე დიდი დრო გავიდა იმისთვის, რომ პასუხის მიღების იმედი გვქონდეს, და უკვე შეგვიძლია ეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიისადმი უპატივცემულობად ჩავთვალოთ. რა თქმა უნდა მთელ მსოფლიოში და მათ შორის სსრ კავშირში მიმდინარე პოლიტიკური საქმეების გამო თქვენი მოუცლელობის ამბავი საქართველოში ძალზე კარგად ვიცით, მაგრამ არც ძველი ვალების გასტუმრება უნდა გავიწყდებოდეს.

დაბეჯითებით გთხოვთ, სამ დღეში გვიპასუხოთ:

ითანამშრომლებთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კომისიასთან ამ საკითხში? თუ შეკითხვები დაგავიწყდათ, გიგზავნით განმეორებით.

თუ პასუხის გაცემა არ გსურთ, ესეც გვაცნობეთ.

13 ნოემბერს მოსკოვში ვიქნები და ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენ ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტთ, განვვიხილა ეს საქმე. ჩვენ ამას კეთილი ნების გამოვლენად მივიჩნევდით.

წინასწარ გიხდით მადლობას
გულწრფელად
ვიქტორ დომუხოვსკი.

ჰოდა, შევთანხმდით, რომ 15 ნოემბერს 10 საათსა და 30 წუთზე მიმიღებდა ნახევარი საათით.

10 საათსა და 30 წუთზე ტიმურაზ სტეპანოვი მელოდა კართან და შეფთან მიმაცილა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. მის პირდაპირ დავჯექი, ხანმოკლე დუმილის დროს ერთმანეთი შევათვალიერეთ. მადლობა გადავუხადე, რომ მოუცლელობის მიუხედავად ჩემთან შესახვედრად დრო გამონახა. ვუთხარი, რომ ჩვენი შეხვედრა გამოწვეულია 1983 წლის 18 ნოემბრის ახალგაზრდების ჯგუფის მიერ თვითმფრინავის გატაცების ცდის გამოძიებით, და თქვენ წერილობით შეკითხვები გამოგიგზავნეთ-მეთქი. ე. შევარდნაძემ ნაწყენმა მიპასუხა: „თქვენ შეკითხვები გამომიგზავნეთ და მაშინვე გამოაქვეყნეთ პრესაში. ეს პატიოსანი საქციელი არ არის. ჩვენ ამაზე არ შევთანხმებულვართ".

ვ. დ. ეს ჩემს დაუკითხავად გამოქვეყნდა, მაგრამ მერე გამიხარდა კიდეც, რადგან, როცა თქვენს თანამებრძოლებს ვკითხე, როგორ მოვქცეულიყავი თქვენთან, ერთმა მათგანმა მირჩია, მაგას ეშმაკობაში ვერ აჯობებ და გირჩევნია გახსნილი კარტით ეთამაშო. ამიტომ დასამალი არაფერი მაქვს, ხალხს აინტერესებს და უფლება აქვს იცოდეს. პასუხიც გამოქვეყნდება!

პასუხად ე. შევარდნაძემ თავის მართლება დაიწყო, საქართველოში რა თანამდებობაზეც კი დამნიშნეს, არც ერთი არ მინდოდაო, დიდხანს მეხვეწნენო, უარს ვამბობდი და სხვებს ვთავაზობდიო. ასე იყო, მაგალითად, როცა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად მაწინაურებდნენო, ამ პოსტზე მან ჯავახიშვილი, გილაშვილი და სხვები შეუთავაზაო. „მე ყოველთვის ხალხში ვტრიალებდი, კაბინეტებში ვერ ვჩერდებოდი. არავის არ დაუძალებია სტადიონზე ხალხთან ჩავსულიყავი, მაგრამ ჩავედი. ინაური თავის კაბინეტში წავიდა, რათა იქიდან ეხელმძღვანელა ოპერაციისთვის, მე კი ხალხთან ჩავედი. 9 აპრილსაც ხელმძღვანელები კაბინეტებში რომ არ გამოკეტილიყვნენ, მსხვერპლი არ იქნებოდა". მე დავუდასტურე, რომ მაშინ სტადიონზე ხალხთან მისი „გაბედული" ჩასვლის მოწმე ვიყავი, მაგრამ ამჟამად სულ სხვა რამ მაინტერესებს-მეთქი. ედუარდ შევარდნაძე კვლავ მაცნობდა თავისი ბიოგრაფიის ფაქტებს, რომ 10 წელს იყო შინაგან საქმეთა მინისტრად, იცოდა, რომ ეს ხელს შეუშლიდა და ამიტომ არ სურდა პარტიულ სამუშაოზე გადასვლა.

თავიდან ვერ მივხვდი, რისთვის დასჭირდა ეს „აღსარება". მხოლოდ იმისთვის, რომ დრო გაეწელა? მაშინ მას არაფერი გამოუვიდა. ეს ხერხი გამოიყენა მან თავის წიგნში „ჩემი არჩევანი. დემოკრატიისა და თავისუფლების დასაცავად" (გვ. 65-66). მაგრამ ჩვენს საუბარში კიდევ უფრო შორს წავიდა, განავითარა და გაამდიდრა თავისი საწიგნე ნამზადი, და მითხრა: „როგორც კი შინაგან საქმეთა მინისტრად დამნიშნეს, პირველ დღესვე ვთქვი, რომ მხოლოდ კანონით ვიხელმძღვანელებ. თქვენს ძიებაში არ ჩავერევი, მხოლოდ კანონით იხელმძღვანელეთ-მეთქი და არასოდეს დამირღვევია ეს პრინციპი. ერთ კაცსაც კი ვერ ნახავთ, რომ თქვას, თითქოს გამოძიებაში თუ სასამართლო პროცესში ჩავრეულიყავი. ჰკითხეთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქმის გამრჩევ მოსამართლეებს". მე დავუდასტურე, რომ არც ა. კარანაძეს, არც თ. გერსამიას არ უთქვამთ, საქმეში ერეოდაო. ამან ე. შევარდნაძეს კმაყოფილება მოჰგვარა, და დასძინა: „თუ სასამართლო შეცდომა მოხდა, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები აგებენ პასუხს თავიანთი შეცდომებისთვის და უნდა დაისაჯონ. ჰოდა, მიეცით სამართალში!".

მაშინ ვკითხე:

„იქნებ პირდაპირი ჩარევა არც ყოფილა, მაგრამ ძიების დამთავრებამდე ხომ იყო ცენტრალური კომიტეტის დახურული წერილი, მფრინავებს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს, ყოველივე ეს ხომ გარკვეულ საზოგადოებრივ აზრს ქმნიდა და არსებითად პარტიის შეკვეთა, ბრძანება და სასამართლო ძიებაში ჩარევა იყო. დახურულ წერილში ხომ გამოქვეყნდა ძიების მასალები, რომლებიც დამახინჯებული სახით წარმოგვიდგენდნენ განსასჯელებს? რა ვუწოდოთ ასეთ მოქმედებას?

**პასუხი:** სწორი არ არის. საზოგადოებრიობას ძალზე აინტერესებდა ეს საქმე. დახურულ წერილებს ჩვენ ყოველთვის ვწერდით. ჩვენ უბრალოდ მივმართეთ კომუნისტებს და არა მარტო მათ, გამოძიებას ხომ უკვე ჰქონდა ეს ფაქტები. პარტია ძალზე ხშირად მიმართავდა რესპუბლიკის მოსახლეობას. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა.

ვ. დ. მაგრამ ამ წერილში ხომ ნარკომანობას აბრალებდით, რაც შემდგომში სასამართლოზე არ დადასტურდა, ეს ხომ სინამდვილის დამახინჯებაა.

ე. შ. რაც ძიებამ წარმოგვიდგინა, ის გამოვიყენეთ. ჩვენ ვენდობოდით ძიებას.

ვ. დ. ვინ შეადგინა დახურული წერილი?

ე. შ. (უკვე უკმაყოფილო ტონით): მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ნახეთ, რამდენი დახურული წერილი იყო. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა".

ვ. დ. როცა ბევრმა კულტურის მოღვაწემ ხელი მოაწერა შეწყალების თხოვნას, თქვენ ისინი ცენტრალურ კომიტეტში გამოიძახეთ, სხვა პარტიული მუშაკებიც იგივეს შვრებოდნენ, რათა უარი გეთქმევინებინათ ხელმოწერებზე?

ე. შ. რატომ, ყველას არ უთქვამს უარი. ნიკო ჭავჭავაძეს არ უთქვამს უარი. ამას მხოლოდ იმიტომ ვშვრებოდით, რომ დაზარალებულნი, 40-50 კაცი იკრიბებოდნენ ჩემს სახლთან, იყო დემონსტრაციები, აღშფოთდნენ, რომ ინტელიგენციას „მკვლელების" გამართლება სურდათ და ეს აღშფოთება რომ ჩამექრო, ვთხოვდი, ხელი არ მოეწერათ, პრეზიდიუმმა, შეწყალების კომისიამ თვითონ ობიექტურად განიხილონ, ამ პროცესში ნუ ჩაერევით-მეთქი.

**შეკითხვა:** რაიმე კონტაქტები თუ გქონდათ ამ საქმის გამო სსრკ ხელმძღვანელობასთან, ერეოდა თუ არა იგი სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში შეწყალების პროცესში?

**პასუხი:** არა, კონტაქტები არ მქონია და ამ პროცესებზე არაფერი გავლენა არ მომხდენია.

**კითხვა:** როცა 1983 წლის 18 ნოემბერს თვითმფრინავი კვლავ თბილისში დაჯდა, კონტაქტები თუ გქონდათ საკავშირო ხელმძღვანელობასთან, სერიოზულად თუ განიხილეთ გამტაცებელთა მოთხოვნა, მგზავრთ საზღვარგარეთ გაფრენის შესაძლებლობა?

**პასუხი:** არა, მოსკოვს არ მოვეთათბირებივართ. მათთვის არაფერი შეგვიტყობინებია, თვითმფრინავის გაშვება საშიში იყო, ცოტა ხნით ადრე ხომ კორეული ბოინგი ჩამოაგდეს, ესეც შეიძლებოდა ჩამოეგდოთ. მაშინ სალონში ჩამწერი მოწყობილობა დავადგმევინეთ და ყველაფერი გვესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ, რაც ხდებოდა იქ. ჩვენ მგზავრების ბედი გვაწუხებდა, ისინი ხომ შეიარაღებული იყვნენ და შეიძლებოდა სროლა აეტეხათ.

ყოველივე ამას ე. შევარდნაძე ჩვეული პათოსით ამბობდა.

**კითხვა:** ეს ხომ სწორი არ არის. გ. ტაბიძე მოკლეს, დ. მიქაბერიძემ თავი მოიკლა, ყველა მამაკაცი — გ. კობახიძე, ს. წერეთელი და ძმები ივერიელები დაჭრილები იყვნენ. ფეხზე მარტო თინა ფეტვიაშვილი იდგა და განა მას შეეძლო დიდხანს დაეცვა თვითმფრინავი. ეს სერიოზული არ არის, მოიერიშეთა ჯგუფსაც ხომ უთქვამს, ტყუილად გამოგვიძახეთო. ვის აძლევდა ხელს, რომ ეს ამბავი ასე გაჭიანურებულიყო? რატომ არ გამოიყენეთ მშობლები, ისინი ხომ მოიყვანეს აეროდრომზე?

**პასუხი:** ჩვენ მგზავრების ბედი გვაწუხებდა, თვითონ ვაპირებდი მათთან მისვლას, დარწმუნებას, არ გამიშვეს. ვწუხდით. მშობლებისა კი არა გამიგია რა. ვვედრეთ დაგვენებებოდნენ. შეწყალებას, პატიებას დავპირდით.

**კითხვა:** რატომ ჩქარობდით ასე. ჩვეულებრივ განაჩენის გამოტანიდან აღსრულებამდე 1-2 წელი და მეტი გადის ხოლმე, აქ კი სულ თვე-ნახევარი გავიდა?

**პასუხი:** არ ვიცი.

**კითხვა:** ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც თქვენ ზეგავლენას არ დაემორჩილნენ, დაისაჯნენ?

ძალზე აღშფოთებულმა მიპასუხა:

არავინ არ დასჯილა, არც ვერიკო ანჯაფარიძე, ამის შემდეგ მას პრემია მისცეს; არც მარიკა ლორთქიფანიძე, იგი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გახდა; არც სხვანი. მე გამიკვირდა, გიგა ლორთქიფანიძემ რომ გამოიგონა, თითქოს საავადმყოფოდან გამოეგდოთ; ეს მის სინდისზე იყოს.

**კითხვა:** ხომ არ ჩარეულხართ შეწყალების პროცესში, როგორც მარიკა ლორთქიფანიძემ ბრძანა, თქვენ გითქვამთ მისთვის, თქვენი ხელმოწერებით ყველაფერი გააფუჭეთო; რადგან თქვენ, თურმე, გინდოდათ ბავშვებს დახმარებოდით, მაგრამ ვეღარ შესძელით, რადგან ხელმოწერებით ყველაფერი გააფუჭებიათ?

**პასუხი:** არა, მე არ ჩავრეულვარ, მე არავის არაფერს დავპირებივარ, მაგრამ რაკი ქ-ნი მარიკა ასე ამბობს, ალბათ ასეც იყო. ეს იმიტომ ვუთხარი, რომ მან უარი თქვა ხელმოწერაზე, რადგან ამას დაზარალებულნი (?) მოითხოვდნენ. მე არასოდეს არ მომითხოვია მათი შეწყალება, არავისთვის არ მიმიმართავს, და ეს თხოვნა, შეწყალების შესახებ სასამართლოზე ზეგავლენა (?!) იყო, ამიტომ ვიყავი წინააღმდეგი. სასამართლომ და პრეზიდიუმმა ყველაფერი თვითონ გააკეთეს (მათ გააკეთეს ყველაფერი და უფრო მეტიც, ვიდრე უფლება ჰქონდათ. — ვ. დ.).

**კითხვა:** ხომ ინსპირირებული იყო მთელი კამპანია გამტაცებელთა დახვრეტის მოთხოვნათა შესაგროვებლად?

**პასუხი:** არა, ეს დაზარალებულებმა და მფრინავებმა ქნეს. ჩემთან იყვნენ, „მკვლელების" დასჯას მოითხოვდნენ.

ამაზე მე აღშფოთებულმა ვუთხარი, რომ ყველაფერი სწორედ პარტიული ორგანოების ინსპირირებული იყო, რადგან დეპეშები და წერილები მთელი რესპუბლიკიდან მოდიოდა, მაგალითად, 16 საათზე ახმეტიდან ათი დეპეშა მოვიდა — რაიკომიდან, რაიაღმასკომიდან და ა. შ. ეს ფართოდ იყო ორგანიზებული.

**პასუხი:** (გაღიზიანებული): ჩემი ბრალი არაფერი არ არის, მე ვერაფერს ვერ დამიმტკიცებთ, მოვალე არა ვარ გიპასუხოთ, ბოროტმოქმედი ხომ არა ვარ. თქვენ ჩემი დაკითხვის უფლება არა გაქვთ.

ეს ფრაზა შემდეგ რამდენჯერმე გაიმეორა, მოვალე არა ვარ გიპასუხოთო, ეს მხოლოდ კეთილი ნება გამოვიჩინეო. მე ვუპასუხე, რომ ეს პარლამენტის კომისიაა და მოვალეა მიპასუხოს, რაზეც ე. შევარდნაძემ მითხრა: „თქვენი პარლამენტი და პრეზიდენტი მგონი ძალზე მოცლილები არიან, რომ ამ საქმეს იძიებენ".

განვუცხადე, რომ უფლება არა აქვს შეურაცხყოფა მიაყენოს პარლამენტსა და პრეზიდენტს. თვითონ იციან-მეთქი, რაზე იმუშაონ და რა გამოიძიონ.

ე. შ. მაშინ სხვა დრო იყო, ახლა ჩემთან ახალგაზრდები მოდიან, მეწარმეები, წინათ კი ასეთებს ვიჭერდით, მაშინ ასე იყო, მე თვითონ ბევრი რამ გავაკეთე იმისთვის, რომ ეს სისტემა შეცვლილიყო, მე კი ყველანი მლანძღავენ, განსაკუთრებით თქვენი პრეზიდენტი, მტრად, დამნაშავედ მთვლიან. აი, ჩამოვალ საქართველოში და ყველაფერს აგიხსნით.

ვ. დ. რაკი სიტყვაზე გამოგიჭირეთ, კომისიაზე მიგიწვევთ, გამოგიძახებთ.

ე. შ. (აღშფოთებული): სიტყვას ნუ ჩამიჭრით. ის კაცი არა ვარ, სიტყვაზე გამომიჭიროთ. ამ საქმის გამო, არ ჩამოვალ საქართველოში, მე ჩამოვალ, ჩამოვალ... მაშინ, როცა საჭიროდ ჩავთვლი, როცა საქართველოს ჩემი დახმარება დასჭირდება. საერთოდ კი, იმ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, რომელიც საჭიროა. ოსეთში, ამჟამად ეგრეთ წოდებულ სამაჩაბლოში, 600 კაცი დაიღუპა, ვთქვათ 300-300 ქართველი და ოსი, 2 სექტემბერს დახოცილნი იყვნენ და შემდეგაც იყო მსხვერპლი, ამას არ იძიებთ, გირჩევნიათ ეს გამოიძიოთ.

ვ. დ. თქვენ ნუ ასწავლით პარლამენტს, თუ რა უნდა აკეთოს. ხომ იცით, რომ მოსკოვიდან ხელს გვიშლიან გარკვეული ძალები.

იგი გაფიცხდა და ძალზე ხმამაღლა მითხრა:

— ისევ შტაბი, აქედან ხელმძღვანელობა. აი, წამომყევით, შემოვიაროთ მთელი შენობა და ვნახოთ, სად არის შტაბი, მართვის ოთახი... პრეზიდენტი მაბრალებს, თითქოს აქედან ვხელმძღვანელობდე, მაგრამ განა მე თვითონ არ განვაცხადე, რომ საქართველოში კანონიერად არჩეული ხელისუფლებაა, რომელიც, მართალია, შეცდომებს სჩადის, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის.

ვ. დ. ამას თვითონ ოპოზიციაც ამბობს, თქვენი სახელით სარგებლობენ.

ე. შ. მე ყველას ვიცნობ, მით უმეტეს, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან; აი გ. ლორთქიფანიძე, რ. ჩხეიძე, ჩამოვლენ, მე ყველას ვიცნობ, არ ვიცი, ვინ ოპოზიციაა და ვინ — არა.

აი, 50 ქალი მეწვია თბილისიდან.

ვ. დ. ვინ ქალები, ვინ გამოგზავნა?

ე. შ. თქვენმა პრეზიდენტმა მოგზავნა (?!). ისინიც მივიღე, 2 საათს ვესაუბრე, თქვენმა ტელევიზიამ ჩაიწერა, მაგრამ არ გადაუცია. თვითმფრინავის საქმის გამო, გავეცი პასუხი, რატომ არ უჩვენეს?

ვ. დ. არ ვიცი, გავიგებ ტელევიზიაში და ვეცდები გადასცენ. არსებობს ერთი ლეგენდა, მინდა სიმართლე ვიცოდე. როცა ძმები ივერიელების მამა გეახლათ და შვილების შეწყალება გთხოვათ, ვითომ თქვენ გითქვამთ, რომელი შევიწყალოთო. მართალია?

ამან გააცოფა.

ე. შ. ასეთი პასუხი შეიძლებოდა გაეცა ფაშისტს, ცინიკოსს, არამზადას, როგორ არა გცხვენიათ, თუ მართლა გგონიათ, რომ შეიძლებოდა ასე მეპასუხა, საერთოდ როგორ მელაპარაკებით. ჩემი ბრალი არაფერი არ არის. ვისი ბრალიც არის, პასუხიც იმას მოჰკითხეთ.

ვ. დ. კი, მაგრამ განა მორალურად გამართლებულია, რომ მშობლებს არაფერი აუწყო შვილების ბედზე. როდის შეიტყვეთ, რომ განაჩენი აღსრულებულია?

ე. შ. (აღელვებული): მე არაფერი არ ვიცოდი, მე რა შუაში ვარ.

ვ. დ. ხომ იყვნენ თქვენთან მშობლები 3 ოქტომბრის შემდეგ, თქვენ კი, არაფერი არ უთხარით. მხოლოდ 5 წლის შემდეგ, 1989 წლის 13 მარტს აცნობა მშობლებს პატიაშვილმა პარტიის ბიუროს დადგენილებით.

ე. შ. პარტია რა შუაშია აქ. ამას გაზეთში იუწყებიან, უწყებებს უგზავნიან. მე არაფერი არ ვიცი.

ვ. დ. ჰოდა, მეც მანდა ვარ, მოვალენი იყავით, თქვენ კი გაზეთში დაბეჭდვა აკრძალეთ. განა დანაშაული არ არის, მშობლებს დაუმალოთ ეს. თ. ჩიხლაძის მშობლებმა დღემდე არაფერი იციან, ძმები ივერიელების დედა დღემდე ელოდება შვილებს. ისინი იყვნენ თქვენთან? განა ეს ადამიანობაა.

ე. შ. (აყვირდა, წამოხტა, ლამის ისტერიკა დაემართა): ეს სიცრუეა. მე არაფერი არ ვიცოდი, მე არაფერ შუაში ვარ. არავისთვის არაფერი ამიკრძალავს და არაფერი მახსოვს.

ვ. დ. ამ საქმეს სუკი იძიებდა, ბევრი ფაქტი დამახინჯებულია, ამაზე რას იტყვით?

ე. შ. ეგ ჩემი საქმე არ არის; დასაჯეთ ის, ვინც დამნაშავეა.

ვ. დ. ყოვლად უდანაშაულო მღვდელი თემურ ჩიხლაძე რატომღა დასაჯეთ?

ე. შ. იგი დამნაშავე იყო, ბანდას ხელმძღვანელობდა, თვითონ აღიარა, და მერე — არც მე, არც თქვენ სპეციალისტები არა ვართ და ამაზე ვერ ვიმსჯელებთ. მე მშობლებს ვეხმარებოდი. კოტე წერეთელი ჩემი მეგობარია, მოვახერხე, რომ პარტიიდან არ გაერიცხათ, უნივერსიტეტში დაეტოვებინათ, სხვა მშობლებსაც ვეხმარებოდი. მე თქვენ ძალიან პატივს გცემთ, მაგრამ ასე არ უნდა მომქცეოდით. მე მიგიღეთ, თუმცა შემეძლო ეს არც მექნა.

11 საათსა და 20 წუთზე მდივანი შემოვიდა და მოახსენა, 11 საათიდან გელოდებიანო ქალები.

ე. შ. (აღშფოთებული ეუბნება): რატომ აქამდე არ მითხარით, რომ მელოდებიან.

წამოვდექით, და სანამ დავიღუნე და პორტფელი ავიღე, ედუარდ შევარდნაძემ სწრაფად ჩაუარა გრძელ მაგიდას და კართან გაჩერდა, რითაც მაგრძნობინა, რომ დრო იყო წამოსულიყავი, მივუახლოვდი და ვკითხე:

ბატონო ედუარდ, როდის გასცემთ პასუხს ჩემს წერილობით შეკითხვებს?

ე. შ. არ ვიცი, იქნებ არც გიპასუხოთ, არ ვიცი.

ვ. დ. მაგრამ კომისია სხვაგვარად მუშაობას ვერ დაამთავრებს, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება პასუხი ამ კითხვებზე.

ე. შ. მაშინ ჩაწერეთ, რომ ეს ჯიუტი კაცია და პასუხის გაცემა არ სურს-თქო.

ჩვენ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და უკვე დამთმობი ტონით მეორე დღეს, ნაშუადღევს, კვლავ მიმიწვია თავისთან მშვიდი საუბრისთვის. მე ქართულად გამოვეთხოვე და ამ შეხვედრაზე აღარ წავსულვარ.

ქუჩაში გამოვედი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მგლის ბუნაგში ვყოფილიყავი. შენობის გარშემო უამრავი დაცვა იყო.

### ბოლოსიტყვაობა

**შეხვედრით** ერთობ კმაყოფილი ვარ. მე რუსულად ლაპარაკი ვამჯობინე და ამან ჩემს ოპონენტს გარკვეული სიძნელეები შეუქმნა და შეცდომები დააშვებინა. მთავარ შეკითხვებზე ფრიად უსუსური პასუხები გამცა. პირდაპირ სასაცილოა ის პასუხი, რომ პარტია და პირადად ედუარდ შევარდნაძე სასამართლოს საქმეებში არ ჩარეულან. ჩვენ ასეთი ჩარევის ბევრი ფაქტი გვაქვს და ყველას წარმოვადგენთ. „ნეზავისიმაია გაზეტასათვის" („ნგ") 15 ოქტომბერს მიცემულ ინტერვიუში ედუარდ ამბროსის ძე უსინდისოდ ტყუის:

„—(შეფიქრიანებული) დიახ. ჩემი მდგომარეობა ძალიან მაღალი იყო. მე რომ ჩავრეულიყავ... ამიტომ გული მტკივა, როცა ახლა ამბობენ, საქართველოში შევარდნაძე დახვრეტებს ხელს უწყობდაო... და ა. შ. ასე არ არის ...კობახიძე პარტიის რაიკომის მდივანი — დახვრეტილია ქრთამის აღებისთვის".

როცა შეწყალების კომისიის სხდომაზე იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა ა. შუშანაშვილმა დაამტკიცა, ი. კობახიძის პროცესი ისეთი დარღვევებით წარიმართა, რომ სასიკვდილო განაჩენი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად უნდა გაუქმდესო, პ. გილაშვილმა კომისიის სხდომა შეწყვიტა და შევარდნაძესთან წავიდა, იმან კი, არა უშავს, დაიხვრიტოსო! მოსკოვმაც დაამტკიცა ეს უკანონო განაჩენი.

რაოდენი ცინიზმია მის ამ სიტყვებში („ნგ")?

„იცით? ბევრი მიფიქრია ამ პრობლემაზე. იმის თქმა, რომ საქართველოში ხალხს ვძულვარ, რომ პატივს არავინ მცემს... არ შემიძლია. მეორე მხრივ — დიახ, მართალი ხართ, გამუდმებული, ყოველდღიური პუბლიკაციები... უფრო ხშირად უაზრო ბრალდებებს აყენებენ". როგორ ეხმაურება ეს ჩემთან საუბარს. „დამნაშავე არაფერში არა ვარ, სხვები არიან დამნაშავენიო".

კეთილი, ზეპირი და წერილობითი ბრძანებები, ვთქვათ, არ გაგიციათ. მაგრამ ნუთუ არ იცოდით, რომ ეს მთავარი პრინციპის — უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევა იყო პრესაში ძიების მასალების გამოქვეყნება და სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე კაცისთვის ბრალის დადება. თანაც ბევრი ბრალდება შემდეგ ძიებამ არ დაადასტურა. რომელი? ინებეთ: სამშობლოს ღალატი, ნარკომანობა, გარყვნილება და სხვ. მარტო ესენიც კმაროდა განაჩენის გასაუქმებლად, სხვა საგამოძიებო და საპროცესო დარღვევებზე რომ არაფერი ვთქვათ. 10 წელი შინაგან საქმეთა მინისტრად იმუშავე და ეს არ იცოდე?! და მერე ... სად გეჩქარებოდათ ედუარდ ამბროსის ძევ? 1984 წლის 3 ოქტომბერი? გარდაქმნისაკენ? აპრილამდე მაინც დაგეცადათ! თუ მოსკოველი პატრონების წინაშე თავის გამოჩენა გსურდათ? ბრეჟნევი ხომ უკვე აღარ იყო, რომელიც კიდეც გეხმარებოდათ და არც ხელს გიშლიდათ.

მერედა ხელების გადაგრეხის ტაქტიკა იმ ინტელიგენციის წინააღმდეგ, ვინც გაბედა ხმა აემაღლებინა შეწყალებისთვის? ნუთუ არ იცოდით, რომ შეწყალების უფლება გულმოწყალების უფლებაა და პატრონების წინაშე თქვენს ავტორიტეტს, ალბათ, ვერ შეულახავდა. და აი თავის გამოჩენის ამ მლიქვნელური ჩვევის გამო იყო, რომ საქართველოს სსრ კავშირში შეწყალების საქმეების ყველაზე დაბალი პროცენტი ჰქონდა. არც ერთი სასიკვდილოგანაჩენიანი არ შეუწყალებიათ თქვენი მოღვაწეობის პერიოდში. გესმით ეს თუ არა? და ისეთი მოსამართლეებიც, როგორიც თ. გერსამიაა და ყველა ისინიც, ვისაც მან და სხვა მოსამართლეებმა სიკვდილი მიუსაჯეს, თქვენს სინდისზეა. როგორ გძინავთ ღამე? თქვენ საქართველოს სტალინზე და ორჯონიკიძეზე მეტი ზიანი მიაყენეთ. ისინი მარტო ხვრეტდნენ, თქვენ კი ამის გარდა ქართული საზოგადოება, საქართველოს ინტელიგენცია დახვრიტეთ. თქვენი ექსპერიმენტით აღზრდილი ინტელიგენცია ახალგაზრდა, ნიჭიერი ჭაბუკების დახვრეტას მოითხოვდა. საქართველოში მან მოაწყო პუტჩი.

„ნგ"-თვის მიცემულ ინტერვიუში თქვენ ცინიკურად განაგრძობთ, რომ „ცენტრი დაინტერესებული არ არის იმით, რომ ქართველები და ოსები ასე დაძაბული ცხოვრობდნენ ერთმანეთში... იმის თქმას, რომ კრემლი ეროვნებათაშორის შეტაკებებს აქეზებდა, მე გამოვერიცხავ".

დღემდე თვალწინ მიდგას თქვენი ბოროტი გამომეტყველება, როცა ჩემთან საუბარში საქართველოს პრეზიდენტზე, პარლამენტზე, ხალხზე მელაპარაკებოდით. მესმის, თქვენ ინტერნაციონალისტი ხართ, მაგრამ ნუთუ სულ მთლად დაკარგეთ სამშობლოს სიყვარული? ჭეშმარიტად ისეა, როგორც სიმღერაში: «Мой адрес ни дом и не улица, мой адрес Советский Союз».

თქვენთან 15 ნოემბერს ვიყავი ისე, როგორც „ნგ"-ს კორესპონდენტი ა. ყარაულოვი. ბევრ ჩემ შეკითხვას დამაჯერებელი პასუხი ვერ გაეცით. რატომ? ა. ყარაულოვს ხომ ყველა შეკითხვაზე უპასუხეთ? სიმბოლურია, არა? ისე კარგად უპასუხეთ მის ყველა შეკითხვას, როგორც რუსეთის დიდი იმპერატორი უპასუხებდა.

ნუთუ არ შეიძლება აღიაროთ, რომ მღვდელი თემურ ჩიხლაძე უდანაშაულო იყო, რომ თქვენ სასამართლოს იმოწმებთ, მაგრამ სინდისი? სინდისი რას გკარნახობთ?

თქვენ წერთ, 20 დეკემბერს რომ არ გადავმდგარიყავი, იანვარში, ვილნიუსის ამბების მერე გადავდგებოდიო. არ მჯერა, მე მახსოვს როგორი კომენტარი გაუკეთეთ თავდაპირველად ვილნიუსის ამბებს, აბა მოიგონეთ?

თქვენს წიგნში წერთ: „და რაც არ უნდა თქვან ჩემზე ჩემმა თანამემამულე კრიტიკოსებმა, რესპუბლიკის, სსრ კავშირის კონსტიტუციის მიხედვით — დამოუკიდებელი სახელმწიფოს რეალური სუვერენიტეტის მოპოვების პრობლემა ნიადაგ ჩემს წინ იდგა... ბრძოლა კორუპციის, იატაკქვეშა ბიზნესის წინააღმდეგ, მისი გამეფება საზოგადოებრივი ცხოვრების ზედა სართულებში მთავარი ეროვნული ავლადიდების ხსნის საქმედ იქცეოდა. ერი, რომელსაც ხრწნის დანაშაულებრივი მომხვეჭელობის მეტასტაზები, ვამბობდი გუნებაში, განწირულია გადაშენებისა და დაღუპვისათვის". სწორი ნათქვამია!

თქვენი მმართველობის დროს კორუპცია ორგანოებსა და რესპუბლიკაში უზომოდ გაიფურჩქნა. აი პასუხი თქვენს შეკითხვაზე, რატომ ვარ საქართველოს მტერი. თქვენ ქართველი ერის გადაგვარება გსურდათ და ამიტომ ხელს უწყობდით კორუპციას! თქვენს წიგნში წერთ: „დიქტატურას წარმოშობს უხელისუფლებობა, ანარქია, ქაოსი, წარმატებული მისწრაფება შიგნიდან ძირი გამოუთხარო კანონიერ ხელისუფლებას და აიძულო იმოქმედოს თავისებურად ანდა სულაც შეცვალო იგი". და თუ აქ „ნგ"-დან დავურთავთ ციტატას: „ეს რეალური საფრთხეა. თუ საქართველო სხვა რესპუბლიკებთან, რუსეთსა და ცენტრთან თანამშრომლობის გზას ვერ გამონახავს, ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს. სავსებით რეალური საფრთხეა. მეორეა ეროვნული საკითხი. საქართველო მარტოოდენ თბილისი როდია (?—ვ. დ.) და საქართველოს მთავრობაც ყველა იმის მთავრობაა, ვინც რესპუბლიკაში ცხოვრობს.

ვიცით, რომ ეს ცნება ახლა ერთგვარად კომპრომეტირებულია, მაგრამ ვიყავი და კვლავაც ვიქნები მტკიცე ინტერნაციონალისტი".

ასეა, ამიტომაც მიიღეთ — ახალი პოსტი!

„საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის... —გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არა, რა მოუვიდოდა საქართველოს?! გიპასუხებთ, ამხანაგო ედუარდ. საქართველო აყვავებული ქვეყანა იქნებოდა, ისეთი, როგორც შვეიცარიაა. ბოლშევიკთა ურდოებმა სტალინის მეთაურობით 1921 წელს მეორედ წაართვეს შანსი გამხდარიყო შვეიცარია.

მესამედ თქვენ გსურთ წაგვართვათ შანსი ცივილიზებულ სახელმწიფოდ გახდომისა, მაგრამ დარწმუნებული იყავით, შევარდნაძეიზმი საქართველოში არ გავა! და მინდა დავამთავრო „ნგ"-ს ბოლო სიტყვებით: „იუმორი მიყვარს კი არა, ვეთაყვანები და ყველაფერი, რაც წრფელი გულით კეთდება, მშვენიერია. მე ასე მიმაჩნია, რომ იუმორის უნარი მარტო მაღალი ინტელექტის ადამიანებს აქვთ".

ა. ყარაულოვმა 3 საათი წაგართვათ, მე 50 წუთი, მაგრამ თქვენმა ინტელექტმა ჩემში კვალი არ დატოვა. სამწუხაროა!

**ვიქტორ დომუხოვსკი**

---

## აქტუალური ინტერვიუ

# ცვლილებები აუცილებელია

**უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების უპირველესი ამოცანაა კვალიფიციური კადრების მომზადება. სწორედ ამ კადრების პროფესიულ დაოსტატებას, ექიმთა დიპლომისშემდგომ სწავლებას ემსახურება თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი. საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა ინსტიტუტის პრორექტორს სასწავლო დარგში პეტრე შოთაძეს იმ საკითხებზე, რომლებიც თანამედროვეობამ დააყენა დღის წესრიგში.**

**— რა გეგმები გაქვთ ექიმთა დიპლომისშემდგომი სწავლების სრულყოფისათვის და რა ცვლილებებია ამ მხრივ მოსალოდნელი?**

— როგორც ცნობილია, ჩვენ უკვე გამოვედით რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში, საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რომელიც ჩვენ გვაფინანსებდა, დაიშალა. ინსტიტუტში კი ორმოცამდე კათედრაზე, მის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიებსა და კლინიკურ საავადმყოფოში ორი ათასამდე კაცი მუშაობს. ყოველწლიურად ჩვენთან სამი ათას ხუთასი ექიმი იმაღლებს კვალიფიკაციას. ამასთან, შარშან ინსტიტუტს დაევალა სტუდენტთა მომზადებაც. ჩაირიცხა ათას ოთხასზე მეტი სტუდენტი — ეს სოლიდური ციფრია. რესპუბლიკის მთავრობამ გამოყო სახსრები, მაგრამ, ეს მაინც არ არის საკმარისი. ყოველ შემთხვევაში, საკითხი კვლავ გადასაწყვეტია და დაგვპირდნენ მის დადებითად გადაჭრას.

ინსტიტუტს განზრახული აქვს ძირეულად შეცვალოს სწავლების მეთოდიკა. ეს ეხება როგორც დიპლომისშემდგომ, ისე სტუდენტთა მომზადებას. ამ მხრივ ჩვენ შეზღუდული არ ვართ, მოსკოვიდან უკვე აღარ ველოდებით ინსტრუქციებსა და პროგრამებს. ინსტიტუტში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. მიგვაჩნია, რომ გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ინტერნატურის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დაქვემდებარების საკითხის გადაწყვეტა, ასევე ჩვენი ინსტიტუტის ეგიდით უნდა წარმოებდეს საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაც. სწავლების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნაწილი კათედრებისა ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების (მეანობა-გინეკოლოგიის და პერინატალური მედიცინის, ჰემატოლოგიის, ონკოლოგიის, კურორტოლოგიის, ტრავმატოლოგიის) ბაზებზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამჟამად 2400-მდე ფარმაცევტი მუშაობს, რომელთა ნაწილი კვალიფიკაციას იმაღლებს სამედიცინო ინსტიტუტში. მიზანშეწონილი იქნება, თუ ფარმაცევტთა კვალიფიკაციის ამაღლებაც ჩვენს ინსტიტუტს დაეკისრება, რამეთუ ასეთი სწავლების ტრადიცია და სპეციფიკაც მას აქვს. ამისათვის საჭიროა ჩვენთან გაიხსნას ფარმაცევტული ფაკულტეტი შესაბამისი კათედრებით. სხვათა შორის, საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში მსგავს დაწესებულებებს ექიმთა და ფარმაცევტთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტი ეწოდება.

**— გაქვთ თუ არა რაიმე კავშირი საზღვარგარეთის ანალოგიურ დაწესებულებებთან?**

— თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი თანამშრომლობს საზღვარგარეთის მრავალ სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებასთან. მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ ჩვენი ინსტიტუტის ოტოლარინგოლოგიის კათედრასა და გერმანიის სამედიცინო აკადემიის კლინიკის სპეციალისტებს, სამეანო გინეკოლოგიის კათედრა თანამშრომლობს უნგრეთის შესაბამის კლინიკასთან. ჩვენი სწავლულები კითხულობენ ლექციებს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგრამ ეს ცალკეული ქვეყანაყოფების ურთიერთობაა, ინსტიტუტის მასშტაბით კი, დავდეთ ხელშეკრულება ექიმთა დახელოვნების ბუდაპეშტის უნივერსიტეტთან და ექიმთა და ფარმაცევტთა დახელოვნების პრაღის ინსტიტუტთან. ხელშეკრულება ითვალისწინებს სამედიცინო ინფორმაციებისა და სწავლების მეთოდიკის გაცვლას, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციას და მისი შედეგების გამოქვეყნებას, ახალგაზრდა სპეციალისტების ურთიერთგაცვლას, გამოცდილი პედაგოგების მოწვევასა და მათს კონსულტაციებს. ბოლო ხანებში ჩვენთან სტუმრად იყვნენ ამ უმაღლესი სასწავლებლების წამყვანი სპეციალისტები. ისინი გაეცნენ ჩვენს კლინიკებს, ზოგიერთს მაღალი შეფასებაც კი მისცეს. ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ უკვე ძალაშია. მაგალითად, ჩვენი ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიის კათედრა პრაღისა და ბუდაპეშტის ინსტიტუტებთან ერთად ამუშავებს ბავშვებში მწვავე აპენდიციტის გვიანი ჰოსპიტალიზაციის მედიკო-სოციალურ პრობლემას, ოფთალმოლოგიის კათედრა აწყობს ერთობლივ სიმპოზიუმს პრაღის ანალოგიურ კათედრასთან. ბუდაპეშტში შემოქმედებითი მივლინებით იყო ორი ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამას წინათ თბილისში გამოიცა ერთობლივი შრომათა კრებული, რომელშიც დასტამბულია უნგრელ, ჩეხოსლოვაკიელ და ქართველ მეცნიერთა საინტერესო შრომები.

**— რა მნიშვნელობა აქვს ექიმთა ატესტაციას მედიცინის განვითარების საქმეში?**

— ექიმთა ატესტაციისა და კატეგორიის მინიჭება მედიცინის განვითარების საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. საქართველოს რესპუბლიკაში კი ის, ჩვენი აზრით, არასწორად არის ორგანიზებული, პრაქტიკულად ფორმალურია და მოითხოვს კარდინალურ ცვლილებებს. ვფიქრობთ, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ბევრი რამის გადმოღება შეიძლება, თუ გნებავთ, იგივე ექიმთა ატესტაციის საკითხიც. როგორც ცნობილია, ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რომელიც ხუთ წელიწადში ერთხელ სავალდებულოა, მოსდევს ექიმთა ატესტაცია ან კატეგორიის მინიჭება. ატესტაცია ტარდება ძირითადად საბუთების მიხედვით სამინისტროში მთავარი სპეციალისტების თანდასწრებით ან დახასიათებით. ამასთან, ატესტაციაგავლილი ექიმების საქმიანობაზე პასუხისმგებლობა პრაქტიკულად არავის ეკისრებოდა. ამიტომ უმჯობესია, ატესტაცია ჩატარდეს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის შესაბამის კათედრაზე საატესტაციო ციკლის (ციკლების პროგრამა უკვე შედგენილია) დამთავრებისთანავე, რადგან ექიმების პროფესიული დონე ყველაზე რეალურად შეიძლება შეაფასოს იმ კათედრამ, სადაც ექიმი იმაღლებს კვალიფიკაციას. ატესტაციას ჩაატარებენ კათედრის თანამშრომლები, ინსტიტუტის საატესტაციო კომისიის წევრები და მთავარი სპეციალისტები. ექიმის თეორიული მომზადების დონე სასურველია შეფასდეს კომპიუტერზე პროგრამირებული კონტროლით. ყველა ექიმისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური რეესტრი, რომელშიც სრულად აისახება მისი პროფესიული დონე. რეესტრს ხელს მოაწერენ კლინიკის ხელმძღვანელი და მთავარი სპეციალისტი.

ამრიგად, ისინი უკვე პასუხისმგებელი არიან ექიმის პრაქტიკულ საქმიანობაზე. ატესტაციის ასეთი ფორმა აამაღლებს ინსტიტუტის ყველა კათედრაზე სწავლების დონეს, გაიზრდება როგორც ექიმების, ისე ინსტიტუტის და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პასუხისმგებლობა.

**— აღნიშნული საკითხი, მოითხოვს ორგანიზაციული მხარის დახვეწას, სტრუქტურის შეცვლას. რა კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო?**

— სასურველია, სამინისტროში შეიქმნას სამსახური, რომელიც კოორდინაციას გაუწევს რესპუბლიკაში ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ატესტაციას. მის ფუნქციებში უნდა შევიდეს ციკლის დაკომპლექტება პროფილის მიხედვით. კონტროლი უნდა გაეწიოს კვალიფიკაციისა და ატესტაციის ვადებს, უნდა შეიქმნას კომპიუტერული სისტემა რესპუბლიკაში მომუშავე ყველა ექიმთა კარტოტეკით. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში აუცილებელია ახალი სტრუქტურის შექმნა, კერძოდ, ატესტაციის განყოფილება (რის შესაძლებლობაც ინსტიტუტს აქვს) და მასთან არსებული მუდმივმოქმედი კომისია ძირითადი დარგების წარმომადგენლებით, სამინისტროსთან ერთიანი კომპიუტერული სისტემით, ყველა კათედრამ უნდა შექმნას სათანადო პროგრამა-დებულება საკვალიფიკაციო დახასიათების შესახებ, რის საფუძველზეც ჩატარდება ატესტაცია ან ექიმს მიენიჭება სათანადო კატეგორია. აქვე მინდა დავამატო, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება ინსტიტუტს შეეცვალოს სახელი და დაერქვას საქართველოს რესპუბლიკის ან თბილისის სამედიცინო აკადემია, მით უმეტეს, ამის მაგალითები არსებობს მოსკოვში, კაუნასში, ბერლინში და სხვაგან.

ამის შესახებ გვქონდა საუბარი ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბის" ფურცლებზე და რესპუბლიკის ჯანდაცვის და სოც-უზრუნველყოფის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

**ჯულიეტა მარკოზაშვილი.**

**რედაქციისაგან:** დღეს ვაქვეყნებთ მოსაზრებას თბილისის სამედიცინო აკადემიის შექმნის შესახებ. სპეციალისტებსა და დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ გამოეხმაურონ.

## დღეს—ხვალისათვის

# „ბოლს-თლუღი"—საქართველოს სასიკეთოდ

[illegible]

ამბობს ლარსი, — მოთხოვნილება თესლზე ყოველწლიურად 10 ტონა იყო. შარშან საქართველოდან გაიტანეს 40 ტონა. ამასთან, შარშან რუსეთის ზოგიერთმა ფირმამ გაყიდა სხვა რეგიონებში მოპოვებული თესლი, როგორც [illegible] აღარ შეიქმნებოდა თესლის დიდი მარაგი და შესაძლებელი გახდებოდა მაღალი ფასების შენარჩუნება. თუ საქართველო ამას ვერ შეძლებს, იძულებული იქნება, თესლი იაფად გაყიდოს, ან საერთოდ ვერ გაყიდის პრესტიჟის დაცემის [illegible] შუალებასაც იძლევა დანიის მხარის ცდა ამ მიმართულებით. ეს ცდა გულისხმობს, რომ ცნობილი ინგლისელი და გერმანელი სპეციალისტები, რომლებთანაც დანიის მხარეს მჭიდრო ურთიერთობა აქვს, რეკლამას უწევენ ამბროლა- [illegible] ობა აამაღლებს საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის პრესტიჟს და, კერძოდ, სახელს გაუთქვამს და დიდად დაეხმარება მიწისძვრით დაზარალებულ ამბროლაურის რაიონს.

**ბონდო მძინარაშვილი.**

**მინაწერი:** როგორც ჩანს, პრობლემები არის — ბევრი რამ მოსაგვარებელია. თუმცა, ვფიქრობთ, მეტი ყურადღება იყო საჭირო იმათგან, ვისაც ეს საქმე უშუალოდ ეხება. ჯერ კიდევ ამა წლის 22 მარტის გაზეთ „თავისუფალ საქართველოში" გამოქვეყნდა ამ საკითხზე ინტერვიუ „ნუ გავირჯებით საქართველოს საზიანოდ", სადაც ტყის ჯიშთა თესლის დამზადებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური საწარმო „საქტყეთესლის" დირექტორი ბატონი კოტე ქარუხნიშვილი და ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, მეცნიერების, პროპაგანდისა და საგარეო ურთიერთობის ყოფილი სამმართველოს უფროსი ბატონი გოგი გოთუა გულისტკივილით ლაპარაკობდნენ კავკასიური სოჭის თესლის სატკივარზე. თუმცა, ვიმეორებთ, ამ ინტერვიუს რომ საჭირო ნაყოფი გამოეღო, არც ამდენი პრობლემა დაგროვდებოდა. ბატონი კოტე ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნავდა, რომ „ჩვენმა საზღვარგარეთელმა პარტნიორებმა შეიძლება სულაც ამოგვიღონ საერთაშორისო კატალოგიდან, არადა ამ კატალოგში მოხვედრისათვის წლების განმავლობაში ვიბრძოდით და ვცდილობდით შეგვენარჩუნებინა ის უპირატესობა, რომელსაც საზღვარგარეთელი კოლეგები გვაძლევდნენ სხვა ქვეყნებთან შედარებით..." როგორც ჩანს, სხვადასხვაგვარი კოოპერატივები სულაც არ ცდილობენ (ყოველ შემთხვევაში, არ ცდილობდნენ) იმ უპირატესობის შენარჩუნებას, რომელიც კავკასიურ სოჭის თესლს აქვს. ასე რომ, კიდევ ერთხელ ყურადღებას ვთხოვთ ვისაც ჯერ არს და ვიმედოვნებთ, ახლა მაინც გაამახვილებენ ყურადღებას ამ პრობლემებზე, მით უმეტეს, რომ სოჭის თესლის მომხმარებლები არიან ევროპის, აზიის და ამერიკის ქვეყნები. მისასალმებელია ფირმა „ბოლს ფორსტპლანტესკოლეს" და ამბროლაურის პრეფექტურის ინიციატივა და სასურველია ასეთი კეთილმოსურნე უცხოელი კოლეგები არ დავაფრთხოთ ჩვენივე დაუდევრობით და არ დავცეთ სოჭის თესლის პრესტიჟი მსოფლიო ბაზარზე.

## საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის განცხადება

[illegible]

# ვის დაუბრუნდა შევარდნაძე?

ა. ჭ. 21 ნოემბრის „ნეზავისიმაია გაზეტა"-ში გამოქვეყნდა ე. შევარდნაძის ინტერვიუ, სადაც იგი კვლავ მ. გორბაჩოვის რეკლამატორად და იმპერიული პოლიტიკის პროპაგანდისტად გვევლინება. აქ, მისი და გორბაჩოვის ურთიერთობა წარმოდგენილია ძალზე რომანტიკული ფერებით, აღწერილია, თუ როგორ იღვწოდა და იბრძოდა ეს ორი „რეფორმატორი რაინდი" სოციალისტური სამშობლოს გასადემოკრატიულებლად. იმავე ტონით მოგვითხრობს, თუ როგორ იქცა ორთოდოქსი კომუნისტიდან — „ჭეშმარიტ დემოკრატად", რომელიც მოსკოვში, მისი თანამზრახველი კომუნისტების მიერ ინსცენირებული „პუტჩის" დროს სხვა „დემოკრატებთან" ერთად ტანკზე ასული იცავდა „პერესტროიკის" მონაპოვარს.

**საგულისხმოა, რომ დღეს არა მარტო საქართველოში და ე. წ. საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში კომუნისტებმა დემოკრატიის ნიღაბი აიკრეს, მსოფლიოს ნეოდემოკრატიულ (პროკომუნისტურ) ძალებს დაუკავშირდნენ (რაც გარკვეულწილად დაემოხვა ევროპის ინტეგრაციის პროცესს) და კაცობრიობის წინაშე ახალ დანაშაულს ამზადებენ.**

კორესპონდენტის შეკითხვაზე: „გჯერათ, რომ სამხრეთ ოსეთში გაღვივებული კონფლიქტი კრემლის საქმეა", იგი პასუხობს, რომ თურმე არც სამაჩაბლოში და არც ყარაბაღში დატრიალებულ სისხლისღვრაში კრემლს არავითარი წვლილი არ მიუძღვის და მსგავსი რამ არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან იგი თავად ესწრებოდა პოლიტბიუროს სხდომებს, სადაც ეს საკითხები განიხილებოდა; ამაზე უთქვამს ქართველ კაცს: „მელამ (თეთრმა) თავის კუდი მოწმედ მოიყვანაო".

აღსანიშნავია, რომ კრემლის ახალ-ახალი დანაშაულობების დაფარვა და მისი უცოდველი რეპუტაციის შექმნა, მხოლოდ კრემლის მსახურთა ინტერესების სფეროში შედის.

შეკითხვაზე, თუ რატომ არ უყვართ იგი საქართველოში, შევარდნაძე პასუხობს: „იცით, ოდესღაც მე ვიხმარე ფრაზა: „საქართველოსთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის" ახლა კი ამას მიყენებენ ბრალდებად. ვერაფრით უპატიებიათ".

აქ, თეთრი მელა ცდილობს ლირიკულ ფონზე წარმოგვიდგინოს მასა და ქართველ ერს შორის არსებული უფსკრულის სიღრმე, იმას კი ივიწყებს, რომ მის მიერ დაღვრილი სისხლი დღესაც არ შეშრობია ქართულ მიწას, ხოლო მისი განკარგულებით აჩეხილ ვაზს (სიმბოლოს ქართველი ერის ღვთიურობისას) დღესაც ვერ გაუხარია ქართულ მიწაზე.

ამავე წერილში იგი ქება-დიდებას ასხამს „გეორგიევსკის ტრაქტატს", რითაც ამართლებს რუსეთის ცარისტული იმპერიის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ; ქვემოთ კი, გორბაჩოვისეულ სახეცვლილ იმპერიას რომ უბრუნდება, სრული კატეგორიულობით აცხადებს: „მე გულწრფელად ვამბობდი და ახლაც ვიტყვი: საქართველო დაიღუპება ურუსეთოდ".

აქ იგი აღარ მალავს თავის ჭეშმარიტ მისწრაფებებს და აშკარად ლაპარაკობს რუსეთის განახლებულ იმპერიაში საქართველოს შესვლის აუცილებლობაზე. ფარისევლურად ქართველი ერისთვის მზრუნველმა, მშვენივრად იცის, რომ საქართველოს ძალუძს ურუსეთოდ არსებობა, და არა მარტო არსებობა, დამოუკიდებლობის შემთხვევაში საქართველო ერთ-ერთი წამყვანი აყვავებული ქვეყანა იქნება; სინამდვილეში მას ის აწუხებს, რომ ერისაგან მოკვეთილი, თვითონ ვერ იარსებებს ურუსეთოდ. აკი თავადაც აცხადებს: „არ მრცხვენია ვთქვა, რომ ვიყავი და ვრჩები ურყევ ინტერნაციონალისტად".

აი ეს ურყევი ინტერნაციონალისტი და „გადემოკრატებული" კომუნისტი დაუსახავს ოპოზიციას საქართველოს მხსნელად, რასაც ისინი უკვე აღარც მალავენ. ავიღოთ, თუნდაც 22 ნოემბრის, კოსმოპოლიტ-ოპოზიციონერთა საასპარეზო გაზეთი „დრონი", სადაც პათოსიანი სათაურით — „შევარდნაძე დაბრუნდა", დაბეჭდილია მათი იდეური ხელმძღვანელის სარეკლამო წერილი (ღრმადმოაზროვნე პორტრეტითურთ).

როგორც „ნეზავისიმაია გაზეტას" კორესპონდენტთან ინტერვიუში, შევარდნაძე აქაც ჭეშმარიტ დემოკრატად წარმოგვიჩენს თავს და გვაფრთხილებს: „დემოკრატიისა და ქვეყნის გადარჩენა აუცილებელია". იქვე გვემუქრება: „ჩვენ უნდა გადავარჩინოთ არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიოც, რადგან არასტაბილური საბჭოთა კავშირი უზარმაზარი საფრთხეა პლანეტის უშიშროებისათვის...".

ალბათ ყველა მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ დემოკრატიული ნიღბით და აშკარა მუქარით აღჭურვილი ე. შევარდნაძე ცდილობს როგორმე შეაკოწიწოს რღვევის პირას მისული იმპერია (რომელსაც იგი ახლაც „საბჭოთა კავშირს" უწოდებს).

შემდეგ ვკითხულობთ: „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მიესალმა ე. შევარდნაძის დანიშვნას საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობათა მინისტრის პოსტზე... ალექსანდრე იაკოვლევთან შეხვედრის დროს ბუშმა განაცხადა: „ჩვენ მას კარგად ვიცნობთ და დიდ პატივსაც ვცემთ. შევარდნაძეს ბევრი მეგობარი ჰყავს. ჩვენც მასთან აქტიურად ვითანამშრომლებთ".

ასე ცდილობენ როგორმე „აუხილონ" ქართველებს თვალი და დაანახონ, თურმე როგორი სასიქადულო მამულიშვილი გვყოლია, რომ თვით ამერიკელი „დიდი ბიძიაც" კი ესალმება მის დაბრუნებას.

შევარდნაძისტების საერთო მხიარულების ფონს ერთი სამწუხარო ზოლი გასდევს, რასაც გაზეთი „დრონიც" აღნიშნავს თავის რეკლამაში: „იმ რესპუბლიკურ დედაქალაქთა შორის, სადაც შევარდნაძე აპირებს ჩასვლას, ალბათ არ იქნება თბილისი".

ალბათ კი არა, ნამდვილად არ იქნება. შევარდნაძე დაუბრუნდა ლენინელ იმპერიალისტებს, რომლებსაც სამუდამოდ გაემიჯნა ქართველი ხალხი და საქართველო.

**სოსო ჯაჯანიძე.**

გიორგობისთვის 18 (25).

## საზღვარგარეთ

# გაათავისუფლეს ორი მძევალი

**შეერთებული შტატები** მიესალმება ამერიკელი მოქალაქის თომას საზერლენდისა და დიდი ბრიტანეთის მოქალაქის ტერი უეიტის განთავისუფლებას, რომლებიც მძევლებად ჰყავდა აყვანილი ლიბანში მუსლიმანურ ექსტრემისტულ დაჯგუფებას. ეს ნათქვამია თეთრი სახლის სპეციალურ განცხადებაში. იქ აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მადლობას უხდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, აგრეთვე ირანის, სირიისა და ლიბიის მთავრობებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მძევალთა განთავისუფლებას".

ამავე დროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია „დიდად არის შეშფოთებული იმათი ბედის გამო, ვინც ჯერ კიდევ ტყვეობაში ჰყავთ". „ჩვენ კვლავ შეგახსენებთ, რომ აუცილებელია განთავისუფლდეს ყველა ადამიანი, რომლებიც უკანონოდ არიან მძევლებად შეპყრობილი — ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში. — ისინი ყველანი თავისუფალი უნდა იყვნენ". შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური მდივნის ხავიერ პერეს დე კუელიარის ძალისხმევას ლიბანში ყველა დასავლელი მძევლის „გადარჩენისა და დაუყოვნებლივ და უპირობოდ განთავისუფლებისათვის".

# რამდენიმე სტრიქონით

**დუშანბედან** იუწყებიან, რომ ტაჯიკეთში დასრულდა პრეზიდენტის არჩევნები, სადაც, გამარჯვება მოიპოვა ყოფილმა პარტიულმა ფუნქციონერმა ნაბიევმა. მისმა ძირითადმა კონკურენტმა კინორეჟისორმა დავლათ ხუდონაზაროვმა განაცხადა, რომ არჩევნები გაყალბებული იყო და ამის შესახებ ბევრი დამამტკიცებელი საბუთი მოიყვანა, მათ შორის ორჯერ გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენებიც.

**წარუმატებლად** დასრულდა ნოვო-ოგარიოვოში ახალი საკავშირო ხელშეკრულების პარაფირება, სულ რაღაც კვირანახევრის წინ პრეზიდენტი გორბაჩოვი იმუქრებოდა, რომ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები ხელშეკრულებას ხელს თუ არ მოაწერენ მაშინ გადავდგებიო. მართლაც, ამჟამად იურიდიულად გაფორმებული რესპუბლიკების კავშირი არ არსებობს. მაშინ 7 რესპუბლიკის წარმომადგენელი ხელშეკრულების რატიფიცირებაზე თანახმა იყვნენ, ახლა კი საქმე-საქმეზე რომ მიდგა, უკან დაიხიეს და დროის გაჭიანურება დაიწყეს. მათ განაცხადეს, რომ ხალხს უნდა მოველაპარაკოთო. ამჟამად ხელშეკრულების პროექტს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების პარლამენტები განიხილავენ. ნოვო-ოგარიოვოში მომხდარი ამბავი, რა თქმა უნდა, პრეზიდენტ გორბაჩოვის დიდი მარცხია, ამავე დროს მან განაცხადა, უკრაინის გარეშე ხელშეკრულების დადებას აზრი არ აქვსო. უკრაინა კი 1 დეკემბერს ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს. თუ მან გორბაჩოვის სასარგებლო შედეგი არ მოიტანა, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი ძალაუფლების გარეშე დარჩეს. ამასთან დაკავშირებით ლონდონის „თაიმსი" აღნიშნავს, რომ ალბათ 1992 წელს საბჭოეთი ჩიხში შევა და ერთიანი ხელმძღვანელობის გარეშე დარჩებაო.

**„ნეზავისიმაია გაზეტას"** უკანასკნელ ნომერში კორესპონდენტი ვადიმ გრიშინი წერს, რომ გორბაჩოვმა თავისთვის კრიტიკულ მომენტში გადაწყვიტა შევარდნაძის ბანქო გაეთამაშებინა. თმობდა რა თანმიმდევრობით თავის ბასტიონებს ქვეყნის საშინაო საქმეებში, ახალმა ცენტრმა თავისი მოღვაწეობის მთელი სიმძიმე საგარეო სფეროზე გადაიტანა. დარჩეს უცხოეთიდან მიღებული სესხების განმკარგულებელი, გააკონტროლოს რესპუბლიკების საგარეო კონტაქტები. იყვეს მათ შორის შუამავალი, აი ამოცანები, რომლებიც შევარდნაძეს დაეკისრა. ამის პრინციპული წინააღმდეგნი არიან რესპუბლიკები, რომელთა უკმაყოფილება განსაკუთრებით მაშინ გამომჟღავნდება, როგორც კი საქმე დაფინანსებამდე მივა. წერს ვადიმ გრიშინი.

**უკრაინის** პრემიერმა ვიტოლდ ფოკინმა განაცხადა, რომ უკრაინა გადაიხდის თავის წილ ვალს, რომელიც საბჭოთა კავშირს მართებს, მაგრამ ამისათვის საჭიროა მოსკოვმა კიევს წარუდგინოს თუ რამდენი ერგება უკრაინას საკავშირო ქონებიდან. ამავე დროს ფოკინმა მსოფლიო საზოგადოებას თხოვნით მიმართა მიაწოდონ სრული ინფორმაცია, თუ რამდენი ქონება აქვს ყოფილ საბჭოთა კავშირს საზღვარგარეთ.

**უკრაინის** თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარები ულაპარაკოდ უნდა დაემორჩილონ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს.

**შეერთებული** შტატების მოქალაქე 32 წლის რაფიკ ოჰანესიანი, რომელიც ამავე დროს სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრიც არის, რადიოსადგურ ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში ამტკიცებდა, რომ ყარაბაღი, იგივე არცახი სომხეთის ისტორიული მიწაა, რომელიც სტალინმა აზერბაიჯანს აჩუქაო. მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენ არ ვთხოვთ უკან ამ ტერიტორიას, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტი სომეხია. ჩვენ გვინდა, რომ იქ მაცხოვრებელმა სომხებმა თავისუფლად იცხოვრონ. მინისტრმა შეშფოთება გამოთქვა, რომ ყარაბაღში ვერტმფრენის დაღუპვამ, რომელშიც აზერბაიჯანის მაღალი თანამდებობის პირები იმყოფებოდნენ, შესაძლოა ყარაბაღის სომხების შევიწროება გამოიწვიოსო.

**თეირანის** რადიოს ცნობით ირანმა გაანთავისუფლა 421 ერაყელი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ერაყთან 1980-1988 წლების ომში იგდო ტყვედ. ტყვეების გადაცემას გაეროს ძეთვალყურეებიც დაესწრნენ. ამავე დროს ირანმა დაადანაშაულა ერაყი, რომ იგი არ ათავისუფლებს 5 ათასამდე ირანელ მეომარს. საერთაშორისო წითელი ჯვრის მონაცემებით ორივე მხარეს 25 ათასამდე სამხედრო ტყვე ჰყავს.

**იუნაიტედ პრეს ინთერნეშნლის** ცნობით ისრაელ-პალესტინა-იორდანიის დელეგაციების მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოსაწესრიგებლად შესაძლოა 4 დეკემბერს ვაშინგტონში გაგრძელდეს. ამის შესახებ იერუსალიმში განცხადება გააკეთა პალესტინელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა მადრიდის კონფერენციაზე ჰანან აშრაურიმ. შემდეგი შეხვედრის მასპინძლობის სურვილი კი ჰელსინკმა გამოთქვა.

**ნახიჭევანის ლიდერმა** ჰეიდარ ალიევმა აღნიშნა, რომ ნახიჭევანსა და აზერბაიჯანს, ირანისა და თურქეთის საზღვრებზე არ სჭირდებათ საბჭოთა მესაზღვრეები. მისი აზრით საბჭოთა მთავრობამ იმ რესპუბლიკებს, სადაც საბჭოთა არმიის ნაწილებია განლაგებული, ფული უნდა გადაუხადონ, ისევე როგორც ამას შეერთებული შტატები აკეთებს ფილიპინებზე. შეგახსენებთ, რომ ვაშინგტონი მანილას წელიწადში 2 მილიარდ დოლარს აძლევდა, რათა მის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები ჰქონოდა.

**1 დეკემბერს** ყაზახეთში დანიშნულია პრეზიდენტის არჩევნები, მაგრამ იგი ალბათ მხოლოდ ფორმალურად ჩატარდება, რადგან ახლანდელი პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის კონკურენტმა ოლჟას სულეიმანოვმა არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ მოისურვა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით ნაზარბაევს მხარს უჭერს ამომრჩეველთა 89 პროცენტი.

**რომში** ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხავიერ პერეს დე კუელიარი. იგი შეხვდება რომის პაპს იოანე პავლე მეორეს და მონაწილეობას მიიღებს ვატიკანში გამართულ კონფერენციაზე, რომლის დევიზია „ნარკოტიკები და ალკოჰოლიზმი სიცოცხლის წინააღმდეგ".

**დასავლეთ** ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა გამოიჩინეს ინიციატივა გაგზავნონ თითო ფრეგატი დიდი ბრიტანეთიდან, იტალიიდან და საფრანგეთიდან ხორვატიის ცნობილი ისტორიული ძეგლის ქალაქ-მუზეუმის დუბროვნიკის აკვატორიაში. მათი მეშვეობით ვარაუდობენ უზრუნველყონ საზღვაო ბადრაგების ნორმალური გავლა ქალაქის მცხოვრებლებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად.

**კანადამ** გადაწყვიტა 1,5 მილიონი დოლარის დახმარება გაუწიოს სომხეთსა და აზერბაიჯანს.

**რადიოსადგური** „ამერიკის ხმა" იუწყება, რომ 5 წლის შემდეგ მწყობრში ჩადგება ახალი თაობის თვითმფრინავი „ბოინგ 777", რომელიც 305-დან 418-მდე მგზავრს მოემსახურება. თვითმფრინავის მოწყობილობების 20 პროცენტი იაპონიაში მზადდება „ბოინგ 777-ზე უკვე მსოფლიოს ექვსმა ავიაკომპანიამ განაცხადა დაინტერესება.

## ქმედითობა

# „აქტი"

„საქართველოს რესპუბლიკა", 1991 წლის 5 ნოემბერი

**რედაქციას უპასუხებს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიწის რეფორმის, მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს უფროსი ბ. ჩიქვილაძე.**

„აქტი". ამ სათაურით თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული მასალის შესახებ, რომელიც შეეხებოდა საქართველოს რესპუბლიკის მარნეულის რაიონის სოფელ ოფრეთის მახლობლად სომხეთის რესპუბლიკის თუმანიანის რაიონის მხრიდან საავტომობილო გზის მშენებლობას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი ადგილზე შეამოწმეს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიწის რეფორმის, მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოსა და მარნეულის რაიონის სამიწათმოწყობო სამსახურის მუშაკებმა. დადასტურდა, [illegible] ტრის სიგანეზე გაფართოებული აქვთ 250 მეტრის სიგრძის არსებული სასოფლო გზა სადახლო-აზკერპის ასფალტირებულ გზამდე. ამ მონაკვეთზე (250 მეტრზე) გზა მოხრეშილი არ არის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენს ტერიტორიაზე საავტომობილო გზის მშენებლობის შესახებ რესპუბლიკების მთავრობასა და მეზობელი რაიონების ხელმძღვანელთა შორის რაიმე შეთანხმებული გადაწყვეტილება არ არსებობს.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სათანადო ორგანოების მიერ ამჟამად აკრძალულია სომხეთის მხრიდან [illegible]

## წერილი რედაქციას

# სახელის უკვდავსაყოფად

ამ რამდენიმე დღის წინ ქართველმა ხალხმა მშობლიურ მიწას მიაბარა ჩვენი სასიქადულო კომპოზიტორი და მამულიშვილი სულხან ცინცაძე. ამ ბრწყინვალე კომპოზიტორის შემოქმედებითი საქმიანობა საყოველთაოდ ცნობილია არამარტო საქართველოში.

მიგვაჩნია, რომ სულხან ცინცაძის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელი უნდა ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კვარტეტს, მით უფრო, რომ ასეთი ტრადიცია არსებობს (ბეთჰოვენის, ბოროდინის, შოსტაკოვიჩის, კომიტასის სახელობის კვარტეტები).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სულხან ცინცაძეს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტთან დღიდან დაარსებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებდა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს თხოვნას მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, მთელი მუსიკალური საზოგადოება და საერთოდ ყველა, ვინც კი სულხან ცინცაძის შემოქმედებას იცნობდა.

**ოდისეი დიმიტრიადი, ზაქარია ხუროძე, ნოდარ აბდულაძე, ნოდარ ჯაფარიძე, კონსერვატორიის პროფესორები.**

## შეიქმნა გიორგი ცაბაძის სახელობის ფონდი

**საქართველოს** რესპუბლიკის კულტურის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დააფუძნა გიორგი ცაბაძის სახელობის ფონდი.

ამ კავშირის ცენტრალური კო- [illegible] ცაბაძის სახელი. იგი აგრეთვე იზრუნებს ქართული პროფესიული და თვითმოქმედი ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდისათვის, არა ერთ სასიკეთო საქმეს დაადგამს თავს.

ფონდს უხელმძღვანელებს [illegible]


## რეკლამა

### ხალხური ცეკვებისა და სიმღერების პროფესიონალურ შემსრულებელთა საყურადღებოდ!

**საერთაშორისო** კულტურული გაცვლების კომპანია „KONTAKT KOMPANY" ქ. თბილისში აყალიბებს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. მსურველებს ვიწვევთ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

კომპანია გაცნობებთ ანსამბლში დასაკავებელ ადგილებს:

მომღერლებისათვის — 7-10 ადგილი,

მოცეკვავე ქალებისათვის — 10 ადგილი,

მოცეკვავე მამაკაცებისათვის — 18 ადგილი.

კომპანია კონკურსში გამარჯვებულებს უზრუნველყოფს მაღალი ხელფასებით.

ანსამბლის ლოტბარია რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი ანზორ კავსაძე.

ქორეოგრაფიული ანსამბლის დაარსებისათვის მოწვეული არიან მაღალკვალიფიციური ქორეოგრაფები.

ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია „KONTAKT KOMPANY"-ს პრეზიდენტი, ქორეოგრაფი ნიკოლოზ პატარქალიშვილი.

მსურველებს კონკურსამდე ჩაუტარდებათ გასაუბრება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ძმები ზუბალაშვილების ქ. № 23 (ყოფილი ათაბეგოვის ქ.) ან დარეკეთ: 93-29-33.

### საქართველოს ბიზნესის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი

**აცხადებს** 1991-1992 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა საბუთების მიღებას 1 დეკემბრამდე შემდეგ სპეციალობებზე:

1. აგროსამრეწველო წარმოების ორგანიზატორ-ბიზნესმენი;
2. კვების მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი;
3. კომერციული და საბირჟო საქმის ორგანიზატორ-მენეჯერი;
4. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზატორ - მენეჯერი;
5. სამარკეტინგო და სამეურნეო სამართლის იურისტ-მენეჯერი;
6. საკურორტო და ტურისტული მეურნეობის ორგანიზატორ-მენეჯერი;

აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება ზეპირი, ტესტირებული გასაუბრების წესით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გეოგრაფიაში და მათემატიკაში.

სწავლის წლიური ღირებულება: პირველ და მეექვსე სპეციალობებზე 5000 მანეთი, დანარჩენ სპეციალობებზე 5500 მანეთი. თანხის გადახდა შეიძლება როგორც გადარიცხვით ასევე ნაღდ ანგარიშზე, დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას. თბილისი ჩიქოვანის ქუჩა 26 (ყოფილი ხილიანის ქუჩა). 150-ე საშუალო სკოლის შენობა. ტელ. 36-44-60, 36-70-26.

საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი"


[illegible]